

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის პროექტი აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით (1996 წლის ვარიანტი)

უკვე რამოდენიმე წელია, რაც აფხაზეთის ტერიტორია, საქართველოს ძირძველი ნაწილი, სადაც ათასობით წლების მანძილზე ერთად ცხოვრობდა ორი მოძმე ხალხი - აფხაზები და ქართველები, წარმოადგენს კონფლიქტის ზონას, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას მთელს კავკასიის რეგიონში.

სეპარატისტთა ჯგუფმა ქვეყნის გარე რეაქციული ძალების მხარდაჭერით შეძლო დროებით დაემყარებინა კონტროლი აფხაზეთის თითქმის მთელს ტერიტორიაზე. განახორციელეს რა ეთნიკური წმენდა, - ფაქტურად, გაანადგურეს რამოდენიმე ათასი და განდევნეს არა მარტო 200 ათასი ქართველი, არამედ 100 ათასზე მეტი სხვა ეროვნების მოქალაქე, რის შედეგად რეგიონის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა მისი მოსახლეობის სამი მეოთხედი, მ. შ. თვითონ აფხაზების ნახევარი, - სეპარატისტები ცდილობენ მიიღწიონ თვითგამოცხადებული "დამოუკიდებელი სახელმწიფოს" აღიარებას მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან.

იმ რეჟიმს, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა ამბოხების შედეგად და რომელმაც განახორციელა მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდი, რამაც მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დემოგრაფიული მდგომარეობის ძალადობრივი შეცვლა გამოიწვია, არ უნდა ჰქონდეს აღიარების პრეტენზია.

ამასთან, შექმნილი რეაქციებიდან გამომდინარე, საქართველო მაქსიმალურ ძალისხმევას იჩენს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისათვის გაერო-ს, ეუთო-სა და დსთ-ს რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრისათვის, რაც ხელს შეუწყობს ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა დაუყოვნებლივ დაბრუნებას, რეგიონში მდგომარეობის სტაბილიზაციას და, საბოლოო ჯამში, აფხაზეთში დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მშენებლობას.

სამწუხაროდ, აფხაზი სეპარატისტები უარყოფენ ყველა წინადადებას და მათი წარმომადგენლების მიერ პარაფირებული დოკუმენტებსაც, ხელოვნურად აჭიანურებენ მოლაპარაკებებს, ატერორებენ სტიქიურად დაბრუნებულ ლტოლვილებს, დაბეჯითებით ავრცელებენ თეზისს, რომ თითქოს საქართველოს გადაწყვეტილი აქვს, დააბრუნოს აფხაზეთი უნიტარული სახელმწიფოს ფარგლებში.

სინამდვილეში, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალას იკრებს სახელმწიფოს ფედერალურ საწყისებზე მშენებლობის ტენდენცია. საქართველოს კონსტიტუციამი სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი შეგნებულად დატოვებულია ღიად.

შემოთავაზებული წინადადებები აჩვენებენ საქართველოს პოზიციას აფხაზეთის მომავალ სტატუსთან დაკავშირებით ერთიანი ფედერალური სახელმწიფოს შემადგენლობაში.

1. ერთიანი ფედერალური სახელმწიფოს შექმნა ყოფილი საქართველოს სსრ საზღვრებში 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით.

2. აფხაზეთს, როგორც ფედერაციის სუბიექტს, ექნება ფართო უფლებები, საკუთარი კონსტიტუცია, ჰიმნი, დროშა, ლერბი, პარლამენტი, ხელისუფლების აღმასრულებელი და სასამართლო უმაღლესი ორგანოები, სახელმწიფოებრიობის სხვა ატრიბუტები, რომელთა კომპეტენციას განსაზღვრავენ სახელმწიფოს ფედერალური და აფხაზეთის კონსტიტუციები, შეთანხმება ფედერალურ სახელმწიფოსა და აფხაზეთს შორის ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილების გამიჯვნის შესახებ.

3. აფხაზეთის განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნებოდეს იქნება:

- ა) საკუთარი უმაღლესი და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების, თვითმმართველობის ფორმირება;
- ბ) საკუთარი ბიუჯეტის ფორმირება;
- გ) ადგილობრივი გადასახადების დაწესება და აკრეფა;

- დ) უმაღლესი სასამართლო და პროკურატურა;
- ე) ადვოკატურისა და ნოტარიუსის საკითხები;
- ვ) კულტურის, განათლებისა და ჯანდაცვის საკითხები;
- ზ) ვაჭრობა;
- თ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და ტრანსპორტი;
- ი) სოციალური დაზღვევა;
- კ) ფიზკულტურა და სპორტი;
- ლ) მეცნიერება;
- მ) ბუნებრივი რესურსები;
- ნ) სასტუმროები;
- ო) საყოფაცხოვრებო მომსახურება.

აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე ქართულთან ერთად სახელმწიფო ენის სტატუსი ექნება აფხაზურსაც.

4. ხელისუფლების ფედერალურ ორგანოების კომპეტენციაში იქნება:

- ა) საგარეო პოლიტიკა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები;
- ბ) თავდაცვის პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება;
- გ) შეიარაღებული ძალები და უშიშროება;
- დ) საფინანსო-საგადასახადო სისტემა;
- ე) საბაჟო სამსახური;
- ვ) ფედერალური ბიუჯეტი;
- ზ) ფედერალური სახელმწიფოს საზღვრის სტატუსის განსაზღვრა და მისი დაცვა;
- თ) ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა;
- ი) ეკოლოგია და სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაცია;
- კ) ადამიანის, მოქალაქის, ეროვნული უმცირესობების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფა;
- ლ) ასევე რიგი სხვა უფლებამოსილებებისა, რომელთა გარეშე ფედერაციული სახელმწიფოს შექმნა ყოველგვარ აზრს კარგავს;

(მაგალითად, მოქალაქეობის, სისხლის სამართლის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის, სხვა საკანონმდებლო სფეროების საფუძვლების საკითხები).

ერთიანი ვალუტის შემოღების, საბანკო საქმის, სასაზღვრო და საბაჟო სამსახურების ორგანიზების საკითხების გადაწყვეტას ვთავაზობთ ერთპიროვნულად მოლაპარაკებების საფუძველზე და შექმნილი რეალიების გათვალისწინებით.

5. თავისი კომპეტენციის ფარგლებში აფხაზეთს უფლება ეძლევა დადოს საერთაშორისო შეთანხმებები, რაზეც აწვდის ინფორმაციას ფედერალურ შესაბამის ორგანოებს.

ფედერალური სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმოდგენილი იქნება როგორც ერთიანი სუბიექტი.

6. ფედერალური საკანონმდებლო ორგანო იმოქმედებს იმ ჩარჩოებში, რომელსაც განსაზღვრავს მხარეებს შორის შეთანხმებული ხელშეკრულება კომპეტენციათა გამიჯვნის შესახებ და მისი გადაწყვეტილება აუცილებელია ფედერალური სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე.

წინასწარი შეთანხმების საფუძველზე აფხაზეთს ფედერალურ საკანონმდებლო ორგანოში გამოეყოფა სადებუტატო ადგილების ნაწილი.

ფედერალური საკანონმდებლო ორგანოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება უშუალოდ აფხაზეთს, ძალაში შედიან იმ შემთხვევაში, თუ მათ დაეთანხმება აფხაზეთის დებუტატების უბრალო უმრავლესობა ან ორი მესამედი იმისდა მიხედვით, ხმების რა რაოდენობით მიიღება საკითხი ფედერალურ საკანონმდებლო ორგანოში.

7. საკითხები კომპეტენციათა გამიჯვნის შესახებ ხელშეკრულების, ასევე ფედერალური ორგანოების სტრუქტურისა და ფუნქციების თაობაზე გახდება ცალკე მოლაპარაკებების საგანი.